ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2024 წლის 9 თებერვალი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის №2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2024; ს/კოდი: 010250020.35.140.016530) შეტანილ იქნეს ცვლილება კერძოდ:

1. **დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ე“ „ვ“ „ნ“ ქვეპუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2023 წლის 4 აპრილის N2738-XIმს-Xმპ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ,,**ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია“** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,

ფოთლოვანი ხეები				
№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	ღეროს გარშემო წერილობა	სიმაღლე მეტრებში
1	იფანი ჩვეულებრივი	Fraxinus excelsior		
2	იფანი გრძელფოთოლა	Fraxinus coriariaefolia		
3	ცაცხვი კავკასიური	Tilia caucasica		
4	ცაცხვი პატარფოთოლა (გულფოთოლა)	Tilia cordata		
5	ცაცხვი უნგრული	Tilia tomentosa		
6	ნეკერჩხალი მინდვრის	Acer campestre		
7	ნეკერჩხალი მაღალმთის	Acer trautvetteri		
8	ნეკერჩხალი - ქორაფი	Acer cappadocicum		

9	ნეკერჩხალი - ლეკა	Acer platanoides	14 სმ-დან	2,5 მ-დან
10	ნეკერჩხალი შაქრის	Acer saccharum		
11	წითელი ტყემალი	Prunus cerasifera Pisardii		
12	პანტა კავკასიური	Pyrus caucasica		
13	მაღალმთის მუხა	Quercus macranthera		
14	არყის ხე	Betula alba		
15	არყის ხე (მტირალა ფორმის)	Betula pendula		
16	რადეს არყი	Betula raddeana		
17	ლიტვინოვის არყი	Betula Litwinowii		
18	ჭნავი (ცირცელი)	Sorbus aucuparia		

წიწვოვანი ხეები

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	ღეროს გარშემო წერილობა	სიმაღლე მეტრებში
1	ჰიმალაის კედარი	Cedrus deodara	14 სმ-დან	2,5 მ-დან
2	კავკასიური ფიჭვი	Pinus sylvestris var. hamata		
3	ფიჭვი	pinus sylvestris		
4	ფიჭვი	pinus montana		
5	ვერცხლისფერი ნაძვი	Picea pungens		
6	ევროპული ნაძვი	Picea excelsa		
7	აღმოსავლეთის ნაძვი	Picea orientalis		
8	ლარიქსი	Larix sibirica		
9	ერთფერა სოჭი	Abies concolor		
10	ესპანური სოჭი	Abies pinsaro		
11	კავკასიური სოჭი	Abies nordmanniana		
12	უთხოვარი	Taxus baccata		

ფოთლოვანი ბუჩქები

№	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	ღეროს გარშემო წერილობა	სიმაღლე მეტრებში

1	აბელია დიდფოთოლა	Abelia grandiflora		0,8მ-დან
2	ბუდლეია	Buddleja davidii		1,2 მ-დან
3	კოლხური ბზა	Buxus sempervirens		1 მ-დან
4	ცხრატყავა	Lonicera sp.		1 მ.-დან
5	ჩიტავაშლა	Pyracantha coccinea		
6	წყავი	Prunus laurocerasus		
7	თრიმლი	Cotinus coggygria		
8	გრაკლა	Spiraea sp.		
9	შინდანწლა	Suaeda an Thelycrania		
		წიწვოვანი ბუჩქები		
№	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**	**ღეროს გარშემოწერილობა**	**სიმაღლე მეტრებში**
1	ღვია „ოქროსფერი“	Juniperus x pfitzeriana 'Mordigan Gold'		1 მ-დან
2	ღვია „ვერცხლისფერი“	Juniperus virginiana 'Silver Spreader'		0,8 მ-დან
3	ღვია გართხმული	Juniperus horizontalis		
4	ღვია კაზაკური	Juniperus sabina		1მ.- დან
5	ღვია „მყრალი“	Juniperus foetidissima		
6	ღვია გრძელწიწვიანი	Juniperus oblonga		
7	ჯუჯა ფიჭვი	Pinus mugo pumilio		
8	ჯუჯა ფიჭვი	Pinus mugo mugus		
9	ჯუჯა ნაძვი	Picea glauca conica		
10	უთხოვარი ს ბუჩქი	Taxus baccata bushes		

.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის ,,**ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები“** მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. გამწვანების პროექტის ფარგლებში დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობები უნდა შეირჩეს ამ დადგენილების დანართი №1-ის გათვალისწინებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი პრიორიტეტული ხე-მცენარეების სიიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკი ბერიძე